

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება




GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ჭაო ანუ ფუტკრის კური

ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის საჭიროა ნახშირწყლოვანი და ცილოვანი კვება. ნახშირწყლებს ფუტკარი იღებს ნექტრისგან, ხოლო ცილების მისაღებად ყვავილის მტვერს იყენებს.

როცა ფუტკარი ყვავილის მტვერს სკაში მოიტანს, მან ის ისე უნდა შეინახოს, რომ სასარგებლო თვისებები არ დაიკარგოს. ამიტომ ფუტკარი ყვავილის მტვერს თავით ტკეპნის ფიჭის უჭრედში, ერთხელ ამდიდრებს ფერმენტებით და მცირე ზომის გუნდას ჰქმნის. ამ პატარა გუნდას რძემჟავა ბაქტერიების საშუალებით უნარჩუნდება ამინომჟავების, ვიტამინების და ფერმენტების მაქსიმალური რაოდენობა. რძემჟავა დუღილის პროცესის შედეგად მიიღება ცილებით, ნახშირწყლებით, მინერალებით (კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა და სხვა), ამინომჟავებით და ვიტამინებით გაჯერებული პროდუქტი - ჭეო, რომელიც აუცილებელია ფუტკრის მიერ ბარტყის გამოსაზრდელად, აგრეთვე იმისათვის, რომ მან შეძლოს ფუტკრის რძის გამოყოფა.



ჭეო ფიჭავი



ფუტკრები ჭეოს აზრადება



ჭეო




ჭეო ხასიათდება უნიკალური სასარგებლო თვისებებით, ამიტომ ადამიანები მას როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო მიზნით იყენებენ. იგი წარმოადგენს ანტიმიკრობულ პროდუქტს, აღადგენს ნაწლავების ლორწოვანს გარსსა და მიკროფლორას, აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევას, აბალანსებს იმუნურ სისტემას. ბავშვისათვის საუკეთესოა მისი მიღება, კუნთოვანი და ძვალ-სახსროვანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ჭეო მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჰორმონალურ ბალანსზეც და ამაღლებს სქესობრივ პოტენციალს. არსებობს მოსაზრება, რომ ჭეოს შეუძლია ავთვისებიანი სიმსივნის ზრდის შეწყვეტა.

თაქსტი შადგენილია ჯახაბარ ზირაქაშვილის მიერ

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

თბილისი, დიდუბის რაიონი,
აკ. წერეთლის გამზირი, N142
+995 599 165 652 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE
WWW.FACEBOOK.COM/GEOBEEKEEPERS.GE